

საგამოცდო პროცესის ორგანიზების და განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამოცდების ელექტრონული ფორმატით ჩატარება ხორციელდება პლატფორმა moodle-ს საშუალებით, რომელიც განთავსებულია moodle.ciu.edu.ge და/ან ciu-moodle.ge მისამართებზე. აღნიშნული სისტემის ტექნიკურ ადმინისტრირებას ახორციელებს ციფრული სერვისების განვითარების სამსახური, ხოლო საგამოცდო პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებენ საგამოცდო ცენტრი, დეკანატები და ლექტორები.

მუხლი 2. ციფრული სერვისების განვითარების სამსახურის ფუნქციები გამოცდების ორგანიზების პროცესში

1. ციფრული სერვისების განვითარების სამსახურის მიერ moodle სისტემაში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- 1.1. მომხმარებლების დამატება (ადმინისტრატორი, მენეჯერი, პედაგოგი, სტუდენტი);
- 1.2. მომხმარებლების პაროლების აღდგენა;
- 1.3. სემესტრის შექმნა, საგნების რეგისტრაცია და საგნებზე პედაგოგების მიხმა;
- 1.4. სემესტრის გამორთვა;
- 1.5. საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა.

მუხლი 3. საგამოცდო ცენტრის ფუნქციები გამოცდების ორგანიზების პროცესში

1. საგამოცდო ცენტრი moodle სისტემაში ახორციელებს შემდეგი აქტივობებს:
2. საგამოცდო ცენტრის თანამშრომელთა მომზადებას moodle სისტემის მაღალკვალიფიციური მოხმარების უზრუნველსაყოფად;
3. საგნებზე მენეჯერების/საგამოცდო ცენტრის თანამშრომელთა მიხმას ფაკულტეტების მიხედვით;
4. საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირით ადრე სისტემაში „გონი“ აქვეყნებს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების განრიგს;
5. საგამოცდო ცენტრი გამოცდების დაწყებამდე 48 საათით ადრე ახდენს საგამოცდო ჯგუფების ფორმირებას, რათა სტუდენტს ჰქონდეს საშუალება შეამოწმოს, დაშვებულია თუ არა კონკრეტული საგნის გამოცდაზე;
6. ახდენს საგამოცდო ტესტების ატვირთვის მონიტორინგს (დებულების თანახმად, ტესტები სისტემაში ატვირთული უნდა იყოს გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ 48 საათით ადრე);
7. იმ შემთხვევაში, თუ ტესტები 48 საათით ადრე არ არის ატვირთული სისტემაში, საგამოცდო ცენტრის თანამშრომელი უკავშირდება შესაბამის დეკანატს (ფაკულტეტის კოორდინატორს), რათა მისი დახმარებით დროულად უზრუნველყოს ტესტების ორგანიზება სისტემაში.
8. გამოცდის დაწყებამდე დამკვირვებელი ამოწმებს აუდიტორიაში მყოფი სტუდენტების პირადობის დამადასტურებელ საბუთს და მათთვის განსაზღვრულ ადგილზე განთავსებას.

მუხლი 4. დეკანატის ვალდებულებები

1. დეკანატი ვალდებულია დასკვნითი გამოცდების პერიოდის დაწყებამდე 1 კვირით ადრე შეამოწმოს, შეტანილია თუ არა შუალედური გამოცდების შედეგები გონში;
2. დეკანატი ვალდებულია ყოველ გამოცდამდე 48 საათით ადრე ლექტორების მხრიდან უზრუნველყოს საგამოცდო ტესტების სისტემაში ატვირთვა.
3. დეკანატი ვალდებულია, ლექტორს აცნობოს რომ ილუსტრირებული დამატებითი მასალის არსებობის შემთხვევაში, მან ეს მასალა უნდა ატვირთოს ფოტომასალის (და არა ლინკის) სახით.
4. დეკანატი ვალდებულია, საგამოცდო ცენტრიდან მიღებული შეტყობინების შემთხვევაში (თუ 48 საათით ადრე, ლექტორის მიერ არ მოხდა შესაბამისი ტესტის ატვირთვა მუდღეში) გამოცდამდე 24

საათით ადრე შეამოწმოს და საგამოცდო ცენტრს დაუდასტუროს შესაბამისი ტესტის სისტემაში არსებობა.

5. დეკანატი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე 2 დღით ადრე უზრუნველყოფს დაკმაყოფილებული განცხადებების მიხედვით სტუდენტების გამოცდაზე დაშვებას. დეკანატს უფლება აქვს, გამოცდაზე დაუშვას მცირე თანხის (50 ლარი/50 დოლარი) დავალიანების მქონე სტუდენტი.

6. დეკანატი ვალდებულია, გამონაკლისის სახით, სტუდენტის მხრიდან დავალიანებული თანხის გვიან გადახდის შემთხვევაში, გამოცდის წინა დღეს უზრუნველყოს სტუდენტის გამოცდაზე დაშვება. გამოცდის დღეს გადახდილი თანხის დამადასტურებელი ქვითრით სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

7. დეკანატი ვალდებულია საგამოცდო ცენტრს გამოცდის წინა დღეს მიაწოდოს ინფორმაცია, კონკრეტულ გამოცდაზე ნორმატიული აქტების, კოდექსის და კალკულატორის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ასევე იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც სტუდენტს გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართული უნდა ჰქონდეს ე.წ. შავ ფურცლებზე მუშაობა.

მუხლი 5. ლექტორის ვალდებულებები

1. ლექტორი საგამოცდო პროცესში ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- 1.1. ეცნობა საგამოცდო ცხრილს, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია საგამოცდო პროცესის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე;
- 1.2. ტვირთავს თითოეული საგნის საგამოცდო ტესტებს გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ 48 საათით ადრე და უთითებს გამოცდის ხანგრძლივობას;
- 1.3. ლექტორი დასკვნითი გამოცდის დაწყებამდე 48 საათით ადრე ვალდებულია დაასრულოს შუალედური შეფასებების ასახვა გონში;
- 1.4. ლექტორი ხელმძღვანელობს გონში განთავსებული ტესტირების სისტემის ინსტრუქციებით: კითხვათა ბანკის გადატანა შესაბამისი სემესტრის სასწავლო კურსში და დავალების განთავსება moodle-ში;
- 1.5. ლექტორი პასუხისმგებელია მუდღში ატვირთული ტესტების და პასუხების სისწორეზე.
- 1.6. ლექტორი ვალდებულია ილუსტრირებული მასალა ატვირთოს ფოტომასალის, და არა ლინკის სახით.
- 1.7. ლექტორი ვალდებულია, გამოცდის დაწყებამდე 48 საათით ადრე აცნობოს დეკანატს კონკრეტულ გამოცდაზე ნორმატიული აქტების, კოდექსის და კალკულატორის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ასევე იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც სტუდენტს გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართული უნდა ჰქონდეს ე.წ. შავ ფურცლებზე მუშაობა.
- 1.8. ლექტორი ვალდებულია, ტესტების ღია კითხვები შეაფასოს მუდღში, ასახოს ქულა და გამოცდის ჯამური ქულა შეიტანოს გონში გამოცდის ჩაბარებიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა.

მუხლი 6. სტუდენტის ვალდებულებები

1. საგამოცდო პროცესში სტუდენტის ვალდებულებებია:

- 1.1. სტუდენტი ვალდებულია, გადაამოწმოს ფინანსური სტატუსი და გადაიხადოს დასაშვები მინიმალური თანხა საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე;
- 1.2. სტუდენტი ვალდებულია 48 საათით ადრე შეამოწმოს, დაშვებულია თუ არა კონკრეტულ გამოცდაზე და საჭიროების შემთხვევაში მიმართოს დეკანატს;
- 1.3. სტუდენტი ვალდებულია, გამოცდის პროცესის დაწყებამდე გაეცნოს მისთვის განსაზღვრული აუდიტორიის შესახებ ინფორმაციას და გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ 10 წუთით ადრე დაიკავოს მისთვის მითითებული ადგილი;
- 1.4. სტუდენტი ვალდებულია, ტესტის დაწყებამდე დამკვირვებელს ჩააბაროს ყველა ის ნივთი, რომლის გამოყენებაც აკრძალულია გამოცდაზე (ნებისმიერი ტექნიკური მოწყობილობა: სმარტფონი, სმარტსაათი, ყურსასმენი), წიგნი, რვეული, ქსეროასლი, ჩანაწერი და ა.შ.);
- 1.5. სტუდენტი ვალდებულია, თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირადობის მოწმობა, პასპორტი, მართვის მოწმობა, ან ფოტოს შემცველი სტუდენტური ბარათი), საწერი კალამი, პირადი საჭიროების მიხედვით - წყალი, კონკრეტულ გამოცდაზე ნებადართული ნორმატიული აქტები, კოდექსი და კალკულატორი.

- 1.6. სტუდენტი ვალდებულია, არ დაარღვიოს წესრიგი, არ შეუშალოს ხელი გამოცდის მიმდინარეობას, არ გადაულაპარაკოს სხვა სტუდენტებს. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას; ხოლო მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
- 1.7. საგამოცდო პროცესში წარმოქმნილი ტექნიკური ან პროგამული ხარვეზის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვირვებელს, რომელიც თავის მხრივ საჭიროებისამებრ იძახებს საგამოცდო ცენტრის თანამშრომელს.
- 1.8. გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია აცნობოს დამკვირვებელს, რომელიც თავის მხრივ იძახებს უნივერსიტეტის ექიმს. მხოლოდ ექიმის დასკვნის საფუძველზე ეძლევა სტუდენტს გამოცდის დატოვების უფლება. აღნიშნული საგამოცდო ტესტი უქმდება სტუდენტთან შეთანხმებით და მას ეძლევა უფლება თავიდან დაწეროს იგივე გამოცდა ცენტრის მიერ შეთავაზებულ დროს.
- 1.9. გამოცდის დასრულებისას სტუდენტი ვალდებულია, მიმართოს დამკვირვებელს და მისი თანდასწრებით პროგრამულად დაასრულოს (დასრულების ღილაკზე დაჭერა) საგამოცდო ნაშრომი.
- 1.10. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტის მხრიდან ქვემოთ ჩამოთვლილი წესების შესაძლო დარღვევების შემთხვევაში, სტუდენტი იხსნება შესაბამისი გამოცდიდან და აღარ ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება:
 - 1.10.1. თუ სტუდენტი გამოცდის დღეს იხდის დავალიანებას;
 - 1.10.2. თუ სტუდენტი იგვიანებს გამოცდაზე;
 - 1.10.3. თუ სტუდენტს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი;
 - 1.10.4. თუ სტუდენტს გამოცდაზე დაუფიქსირდება ნებისმიერი ტექნიკური მოწყობილობა, ან ე.წ. „შპარგალკა“;
 - 1.10.5. თუ სტუდენტი დასრულების ღილაკზე დააჭერით და არ დაასრულებს ტესტს;
 - 1.10.6. თუ სტუდენტი შევა სხვა სტუდენტის მუდლის ანგარიშით;
 - 1.10.7. თუ სტუდენტი გამოცდას დაწერს არასაგამოცდო სივრციდან;
 - 1.10.8. თუ სტუდენტი განმეორებით ჩაიდენს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის 1.6 ქვეპუნქტით განსაზღვრულ დარღვევას.

მუხლი 7. საგამოცდო სივრცეების მოწყობა

1. ელექტრონულ საგამოცდო სისტემა moodle-ზე შიდა ქსელიდან წვდომა დაშვებულია მხოლოდ საგამოცდო ცენტრის კომპიუტერებიდან და კორპუსში განლაგებული იმ კომპიუტერებიდან, რომლებიც ქსელთან მიერთებულია UTP კაბელით. გამონაკლისს წარმოადგენენ სტუდენტურ ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერები, რომლებშიც დაბლოკილია ელექტრონულ საგამოცდო სისტემა moodle-ზე წვდომა.
2. ელექტრონულ საგამოცდო სისტემა moodle-ზე წვდომა დაბლოკილია ყველა სახის უკაბელო ქსელიდან (wifi).
3. საგამოცდო ცენტრის ოთახებში ინტერნეტზე წვდომა დაბლოკილია, გარდა წინასწარ შეთანხმებული ორი ოთახისა. საგამონაკლისო ოთახებში ხორციელდება სასწავლო კურსების გამოცდები, რომელთა მსვლელობაშიც ინტერნეტთან წვდომა აუცილებელია. ამ უკანასკნელის შესახებ ლექტორი წინდაწინ თვითონ აწვდის ინფორმაციას საგამოცდო ცენტრის უფროსს.

მუხლი 8. საგამოცდო პროცესის განხორციელება

1. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებელი სტუდენტების იდენტიფიცირებას ახდენს პირადობის დამადასტურებელი რომელიმე საბუთით (პირადობის მოწმობა, პასპორტი, მართვის მოწმობა) საფუძველზე და აღრიცხავს გამოცდაზე გამოცხადებულ სტუდენტებს. კერძოდ, გამოცდის დასრულებისას საგამოცდო ცენტრის მიერ გონიდან ამოღებულ უწყისში სტუდენტი ხელისმოწერით აფიქსირებს დასრულებას.
2. საგამოცდო ცენტრში გამოცდის მიმდინარეობის დროს:

- 2.1. სტუდენტის მხრიდან აღნიშნული დებულებით დადგენილი ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, დამკვირვებელი ხსნის სტუდენტს გამოცდიდან, აცნობებს, რომ მოხდება მისი ქცევის შესწავლა ვიდუოკამერების ჩანაწერებით და ნაშრომი გაუქმდება.
 - 2.2. დამკვირვებელი მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საგამოცდო ცენტრის უფროსს უგზავნის შეტყობინებას, სადაც მიუთითებს სტუდენტის მონაცემებს, კომპიუტერის ნომერს, დარღვევის აღწერილობას, დარღვევის ზუსტ დროს. ცენტრის უფროსი ამოწმებს ვიდუოკამერების მონაცემებს და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, პროგრამულად „უქმებს“ სტუდენტს შესაბამისი საგნის გამოცდას. სტუდენტს აღარ ეძლევა განმეორებით გამოცდის ჩაბარების უფლება. ვიდუოჩანაწერი, სადაც ფიქსირდება სტუდენტის მხრიდან არასათანადო ქცევა, ინახება და გასაჩივრების შემთხვევაში გამოიყენება მტკიცებულებად.
 - 2.3. თუ საგამოცდო ცენტრის უფროსი არ ადასტურებს კონკრეტული დარღვევის ფაქტს, თუმცა სტუდენტს დასრულებული აქვს გამოცდა, აესახა ქულა და აკმაყოფილებს შედეგი, მას შესაბამისი ქულა დარჩება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოცდიდან მოიხსნა ტესტის დასრულებამდე, იგივე საგნის გამოცდა ჩაენიშნება განმეორებით.
3. გამოცდის გაუქმების შესახებ ინფორმაცია საგამოცდო ცენტრის მიერ ელ. ფოსტით ეგზავნება სტუდენტს არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

მუხლი 9. საგამოცდო ქულის გასაჩივრება

1. სტუდენტი საგამოცდო შეფასებას ასაჩივრებს გონში ქულის ასახვიდან 2 დღის ვადაში.
2. სტუდენტის მიერ საგამოცდო ქულის გასაჩივრების მიზნით გონში დაწერილ განცხადებას სტუდენტთა მომსახურების სამსახური უგზავნის შესაბამისი ფაკულტეტის სააპელაციო კომისიას, რომელიც ვალდებულია პროტესტი განიხილოს 3 სამუშაო დღის ვადაში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. კომისია ნაშრომის ხელმეორედ განსახილველად იწვევს დარგის სპეციალისტს. იმ შემთხვევაში, თუ ხელახალი შემოწმების შედეგად განსაზღვრული შეფასება 10%-ზე მეტით განსხვავდება საგნის ლექტორის შეფასებისგან, ნაწერი გადაეცემა მესამე შემოწმებელს. სააპელაციო კომისია აკორექტირებს საგამოცდო ქულას მეორე და მესამე გამსწორებლების ქულების საშუალო არითმეტიკულზე.
3. ფაკულტეტის სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტს ეცნობება კომისიის თავმჯდომარის მიერ. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მუხლი 10. გამოცდის შედეგის გაუქმების გასაჩივრება

1. სტუდენტი გამოცდის გაუქმების შემთხვევაში საგამოცდო ცენტრიდან ელ.ფოსტით იღებს შეტყობინებას, რის შემდეგაც შეუძლია 2 დღის ვადაში გაასაჩივროს საგამოცდო ცენტრის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და დაწეროს გონში განცხადება.
2. სტუდენტთა მომსახურების სამსახური სტუდენტის განცხადებას და საგამოცდო ცენტრის უფროსისგან მიღებულ იმ ვიდუოჩანაწერს და მოხსენებით ბარათს, სადაც ფიქსირდება სტუდენტის მხრიდან არასათანადო ქცევა, აგზავნის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან ან დეკანის მიერ გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან.
3. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტების შესაბამისი უფლებამოსილი პირები დაეთანხმებიან საგამოცდო ცენტრის უფროსის გადაწყვეტილებას გამოცდის შედეგის გაუქმების შესახებ, იბარებენ სტუდენტს, აჩვენებენ საგამოცდო წესების დარღვევის შესაბამის ვიდუო მტკიცებულებას და სთხოვენ მას, გასაჩივრების განცხადებაზე გააკეთოს ჩანაწერი, რომ გამოცდის გაუქმების გამო არ აქვს პრეტენზია.
4. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტების შესაბამისი უფლებამოსილი პირები არ ეთანხმებიან საგამოცდო ცენტრის უფროსის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გამოცდის შედეგის გაუქმების შესახებ, მაშინ განცხადება 2 დღის ვადაში ეგზავნება რექტორის ბრძანებით შექმნილ სააპელაციო საბჭოს.
5. იმ შემთხვევაში, თუ ვიდუო მტკიცებულების გაცნობის შემდეგ სტუდენტი მაინც არ ეთანხმება ნაშრომის გაუქმების გადაწყვეტილებას, თავიდან წერს საჩივარს სააპელაციო საბჭოს სახელზე. საბჭო სტუდენტის საჩივარს განიხილავს მიღებიდან 5 დღის ვადაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ (განცხადების უსაფუძვლობის

მიზეზით), ან უფლებას აძლევს სტუდენტს ხელმეორედ ჩააბაროს გამოცდა/დაუფიქსირდეს მოპოვებული ქულა; სააკადემიო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

6. სააკადემიო საბჭო დაკომპლექტებულია მინიმუმ 3 წევრისგან - უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან.

მუხლი 11. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესის დამტკიცება, გაუქმება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.